

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N10

ქ. ლანჩხუთი

27 ივნისი.2013 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ამირან გიგინეიშვილი

სხდომას ეწვებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა, ალანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მომავლის ლანჩხუთის“ თავმჯდომარე გიორგი ჩახვამე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული ლანჩხუთის“ თავმჯდომარე, მარინე თურნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, მაკა კვიციანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, გელა ქურდიე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „რეალური თვითმმართველობის“ თავმჯდომარე დავით წულაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, მერაბ წილოსანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხლაიშვილი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ნინო ძიძიგური, თანაშემწე, დონარა დოლიძე, საკრებულოს აპარატის საოქმო და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, მაია კეკელიძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, ზაზა ურუშაძე, გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ზენაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მაია აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თამარ ასკურავა, გამგეობის საზოგადოებასთან

და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მაკა სულაბერიძე, მედიის წარმომადგენლები.

დღის წესრიგის პროექტის დამტკიცებამდე სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გოჩა ჯანაშიამ დააყენა წინადადება, რომ დღის წესრიგს დამატებოდა შემდეგი საკითხი - „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის 29 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი ცვლილების გათვალისწინებით

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 10 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ა. გიგინეიშვილი/

2. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 7 სექტემბრის N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მ. აფხაზავა/

3. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 5 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

4. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 17 მაისის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

5. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, (მოედნების, სკვერების, ბულვარებისათვის) სახელწოდების მინიჭების, ნუმერაციისა და მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 17 მაისის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და გამგეობაში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის 29 იანვრის N2

განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

12. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით დეპუტატების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით.

მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი

საკრებულოს თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა განმარტა, რომ საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) III თავის მე-17 მუხლის მეორე პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ბიუროს გადაწყვეტილებით იგი საკრებულოს წარუდგენს განსახილველად „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 10 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს. აღნიშნულის გათვალისწინებით საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 53 – ე მუხლის მესამე პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილებას განახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზვიად აფხაზავა და მხოლოდ ამ საკითხზე კენჭისყრის შემდეგ დაუბრუნდება მის უფლებამოსილებას.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 10 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის N466 განკარგულებით (17.05.2013წ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 838408 ლარი, რომელიც აისახა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, როგორც შემოსავლის, ისე ხარჯვით ნაწილში. მან სხდომის მონაწილეებს დეტალურად გააცნო ტერიტორიული ორგანოების მიხედვით მიმდინარე წელს განსახორციელებელი პროექტები შესაბამისი დაფინანსებით. მისივე განმარტებით ა.(ა).ი.პ.-ების დაგეგმილი მიმდინარე ხარჯის ანალიზის შედეგად შესაძლებელია შემცირდეს, კერძოდ. ა.(ა).ი.პ. „აგრო-ბიზნეს - ცენტრის“ მივლინების ხარჯი 6000 ლარი, ა.(ა).ი.პ. „ცენტრალურ ბიბლიოთეკას“

აუდიტორული შემოწმების ხარჯები 2000 ლარი, ა.(ა).ი.პ. „საზოგადოებრივ ჯანდაცვას“ 2000 ლარი, მათ შორის: ოფისი 1000 ლარი, ტრანსპორტი 500 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯი 500 ლარი. ასევე შემცირდეს მუნიციპალიტეტის გამგეობის სარეზერვო ფონდი 20000 ლარით. აღნიშნული შემცირებების 30000 ლარი მიიმართოს ა.(ა).ი.პ. საფეხბურთო კლუბ „გურიას“ სუფსიდის წესით დაფინანსებაზე. შ.პ.ს. „ლანჩხუთი გურია - 2000“-ს მიმდინარე წლის დაფინანსება შეუმცირდეს 30000 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ა.(ა).ი.პ. ლანჩხუთი საფეხბურთო კლუბ „გურია“ დაფინანსება 30000 ლარით, რომელიც უნდა მიიმართოს აღებული ბანკის კრედიტზე დარიცხული სარგებლის ასანაზღაურებლად.

წყლის მომარაგების ელექტრო ენერჯის ხარჯებისათვის გათვალისწინებული ხარჯის 1000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს გამგეობის ქვეყნის შიგნით მივლინების ხარჯები 1000 ლარით.

სამხედრო აღრიცხვისა, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე ავტოტრანსპორტის შენახვის და რემონტის ხარჯი 800 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ოფისის ხარჯი სააღრიცხვო ბარათების დამზადების მიზნით. სკვერის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 1300 ლარი გადატანილი იქნას ა.(ა).ი.პ „კეთილმოწყობა ლანჩხუთის“ სუფსიდიით დაფინანსებაში ძეგლის რეაბილიტაციის სამუშაოების შესასრულებლად.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში ლიტვის რესპუბლიკაში იგეგმება საქმიანი ვიზიტი, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, რის გამოც მიზანშეწონილია 30000 ლარის ნაცვლად 27500 ლარი მიიმართოს ა.(ა).ი.პ. საფეხბურთო კლუბ „გურიას“ სუფსიდის წესით დაფინანსებაზე, 1500 ლარი საკრებულოს და 1000 ლარი გამგეობის მივლინებების ხარჯების დაფინანსებაზე. მან დააყენა წინადადება ბიუჯეტში სათანადო ცვლილების შეტანის თაობაზე, რასაც მხარი დაუჭირა საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ.

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, პაატა ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ბიუჯეტის ცვლილების პირვანდელი ვარიანტი და მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს შენიშვნის გათვალისწინებით.

მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N34 (27.06.2013 წელი).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 7 სექტემბრის N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, მაია აფხაზავამ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წარდგენილ შესყიდვების გეგმის პროექტში საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის N466 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ობიექტების შესყიდვა გათვალისწინებული იყო ტენდერის ფორმით. მიმდინარე წლის 7 ივნისის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა ერთმა ნაწილმა მიიჩნია, რომ შესყიდვის შეზღუდულ ვადებში განხორციელების მიზნით, უმჯობესია შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. საკრებულოს წევრების მიერ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული აზრთა სხვადასხვაობის გამო საკრებულოს სხდომაზე არ იქნა გადაწყვეტილება მიღებული.

სამსახურის მიერ დამატებით იქნა შესწავლილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 10 ივნისის N127 მიმართვა, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2013 წლის 13 ივნისის N2699/გ წერილი და ეკონომიკისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსის რომან ბიწაძის მოხსენებითი ბარათი. ანალიზის შედეგად სამსახურს მიაჩნია, რომ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიზანშეწონილია სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში გათვალისწინებული ობიექტების შესყიდვები განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა შესყიდვების გეგმის პროექტი.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, პაატა ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში გათვალისწინებული ობიექტების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შემთხვევაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ, როგორც ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებს, ასევე საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებს. ისინი ვალდებული არიან შესყიდვების განხორციელების მიმდინარეობისას ელემენტარული დარღვევის გამოვლენისას დაუყონებლივ აცნობონ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიმართ დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი ერთი - მარინე თურნავა.

მიღებულ იქნა განკარგულება N67 (27.06.2013 წელი).

დღის წესრიგის მესამე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2013 წლის 5 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან შიდა აუდიტის სამსახურში შექმნილია ზედამხედველობის განყოფილება, ამდენად ცვლილების მიზანია გაზიარებულ იქნას სამხარეო ადმინისტრაციის ზედამხედველობის სამსახურის შენიშვნა და შიდა აუდიტის სამსახურს ეწოდოს შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახური, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ილო გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N35 (27.06.2013 წელი).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 17 მაისის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ შიდა აუდიტის სამსახურის სახელწოდების შეცვლამ განაპირობა ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების დოკუმენტების ტიპური ფორმების დასახელებაში, რის გამოც საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად მისი სახელწოდება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების ტიპური ფორმები“, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ილო გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დადგენილების პროექტი საკრებულოს დეპუტატების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N36 (27. 06.2013 წელი).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზირებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის პროცედურებს ახორციელებდა გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური. ზემოთაღნიშნული სამსახურის ბაზაზე ამჟამად შექმნილია ქონების მართვის სამსახური. აღნიშნულის გათვალისწინებით შეტანილ იქნა ცვლილება და ზემოთაღნიშნული დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის მე-6 მუხლის მესამე პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ქონების განადგურებას ტექნიკურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის სამსახური“, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ილო გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დადგენილების პროექტი საკრებულოს დეპუტატების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N37 (27. 06.2013 წელი).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან შიდა აუდიტის სამსახურს სათაურში დაემატა სიტყვა „ზედამხედველობა“ და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „გამგეობის შიდა აუდიტისა და ზედამხედველობის სამსახური“, ამდენად სამსახურის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებაშიც, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ილო გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დადგენილების პროექტი საკრებულოს დეპუტატების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N38 (27.06.2013 წელი).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე - „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივანების, შესახვევების, ჩიხების, (მოედნების, სკვერების, ბულვარებისათვის) სახელწოდების მინიჭების, ნუმერაციისა და მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 სექტემბრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ რამდენიმე სამსახურს შეეცვალა სახელწოდება. ვინაიდან დასკვნას ობიექტისათვის სახელდებისა და ნომრის მინიჭების თაობაზე ამზადებდა გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის, არქიტექტურისა და საპროექტო სამსახური, რომელსაც გამგეობის ახალი სტრუქტურის თანახმად ეწოდა გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური. ამდენად უნდა შევიდეს ცვლილება ზემოთაღნიშნულ დადგენილებაში, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ილო გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დადგენილების პროექტი საკრებულოს დეპუტატების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილი კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N39 (27.06.2013 წელი).

დღის წესრიგის მერვე საკითხზე - „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის 2013 წლის 24 მაისის N969012 წერილით სახანძრო - სამაშველო სამსახურში სახანძრო-სამაშველო დებულების შესაბამისად დადგენილია შემდეგი თანამდებობები:

სამსახურის უფროსი - უფროსი საჯარო თანამდებობა

სამსახურის უფროსის მოადგილე - მთავარი სპეციალისტი
მორიგე ცვლის უფროსი - უფროსი სპეციალისტი
მეხანძრე, მაშველი, მძღოლი - სპეციალისტი

ზემოთაღნიშნული დადგენილებით არ არის განსაზღვრული უმცროსი საჯარო თანამდებობა - უფროსი სპეციალისტი. აღნიშნულიდან გამომდინარე ბიუჯეტის პარამეტრების გათვალისწინებით მიზანშეწონილია უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 300 (სამასი) ლარით. შესაბამისი დადგენილების მისაღებად უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 68 (27.06.2013 წელი).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე - „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 17 მაისის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ გამგეობაში განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციიდან გამომდინარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს შესათანხმებლად გადაეგზავნა გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის საშტატო ნუსხის ის პროექტი, რომელიც გამომდინარეობდა სამსახურის დებულებიდან. სახანძრო-სამაშველო სამსახურის საშტატო რიცხოვნობაში არ არის გათვალისწინებული სამსახურის განყოფილების უფროსები და სახანძრო-სამაშველო ცვლის უფროსი. ამდენად საჭიროა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებული სამსახურის სტრუქტურა აისახოს სამსახურის დებულებაში.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შესაბამისი ნორმატიული აქტის მისაღებად უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N69 (27.06.2013 წელი).

დღის წესრიგის მეათე საკითხზე - „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და გამგეობაში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად უნდა დამტკიცდეს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის და გამგეობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელშიც შეტანილ იქნება მინიმალური და სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დამატებითი და საკვალიფიკაციო მოთხოვნების კომპონენტები.

შესაბამისი ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 70(27.06.2013 წელი).

დღის წესრიგის მეთერმეტე საკითხზე - „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის 29 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ სოციალური დაცვის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა ომის შემდგომ გარდავლილ მეომართა სარიტუალო მომსახურებისა და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერადი დახმარების პროგრამაში“ პროგრამის მე-6 პუნქტში შევიდეს ცვლილება. კერძოდ, 9 მაისთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს ფულად დახმარებასთან ერთად 50(ორმოცდაათი) ლარი გადაეცეთ ფასიანი საჩუქარი. რაც გათვალისწინებულ იქნა წარმოდგენილ განკარგულების პროექტში.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N71 (27.06.2013 წელი).

სხვადასხვა

1. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ილო გვარჯალაძემ გააკეთა ინფორმაცია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზვიად აფხაზავა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა ფრაქცია „მაჟორიტარი“ და აქვს სურვილი გაწევრიანდეს ფრაქცია „მომავლის ლანჩხუთში“ რაც საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა ცნობის სახით.

2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, მაკა კვიციანიამ კვლავ დააყენა საკითხი საქართველოს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამის მცირე მიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში აქტიური მონაწილეობისათვის ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებსა, მათი თანაშემწეებსა და აგრეთვე გამგებლის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელ ნუგზარ ცინცაძისათვის პრემიალური ანაზღაურების გაცემის მიზანშეწონილობის შესახებ, რაზეც საკრებულოს თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა განმარტა, რომ გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, ზაზა ურუშაძეს დავალებული აქვს მისი კომპეტენციის ფარგლებში საკითხზე სათანადო რეაგირება.

3. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული ლანჩხუთის“ თავმჯდომარემ, მარინე თურნავამ აღნიშნა, რომ მან წერილობით აცნობა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, ილო გვარჯალაძეს ფრაქციის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით ფრაქციას ნაცვლად „ქართული ოცნება - დემოკრატიული ლანჩხუთისა“ ეწოდა ფრაქცია „ქართული ოცნება- რესპუბლიკელები“. აღნიშნულთან დაკავშირებით სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ილო გვარჯალაძემ არ გააკეთა ინფორმაცია საკრებულოს სხდომაზე, რამაც გამოიწვია ფრაქციის თავმჯდომარის მარინე თურნავას უკმაყოფილება. მასა და კომისიის თავმჯდომარეს, ილო გვარჯალაძეს შორის გაიმართა კამათი, რომელიც გადაიზარდა ურთიერთშეურაცხყოფაში.

სხდომის თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა საკრებულოს რეგლამენტის 66-ე მუხლის, „გ“ პუნქტის შესაბამისად ორივე დეპუტატს მისცა გაფრთხილება ოქმში შეტანით, რის შემდეგაც ფრაქციის თავმჯდომარემ, მარინე თურნავამ დატოვა საკრებულოს სხდომა.

4. ფრაქცია „რეალური თვითმმართველობის“ თავმჯდომარემ, დავით წულაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ შეტანილი ცვლილებები არ არის ასახული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში, რომელიც მიღებულია 2010 წელს. მას საჭიროდ მიაჩნია, საკრებულოში სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც იმუშავებს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით დააყენა წინადადება შესაბამისი ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, რაზედაც საკრებულოს თავმჯდომარემ, ამირან გიგინეიშვილმა განმარტა, რომ საკითხის ინიცირების წესით განხილვისათვის საჭიროა დეპუტატ დავით წულაძემ წარმოადგინოს შესაბამისი განკარგულების პროექტი.

დეპუტატმა დავით წულაძემ მოითხოვა განმარტება, რატომ არ მიმდინარეობს ოპტიმიზაციის პროცესი ა(ა)იპ-ებში. საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს

თავმჯდომარემ ამირან გიგინეიშვილმა განაცხადა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და საკრებულოს რეგლამენტი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვალდებულებებს მოსახლეობის წინაშე, რასაც საკრებულო ახორციელებს ა.(ა).ი.პ იების მეშვეობით. ამდენად ა.(ა).ი.პ -ების ოპტიმიზაციის პროცესის დაწყება მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას. მანვე განუმარტა დავით წულაძეს, რომ მას უფლება აქვს შემოვიდეს ცვლილებების ინიციატივით.

5. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის რეგიონალური სამსახურის სპეციალისტმა, ხათუნა რუსიძემ გააკეთა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში „აფრიკული ცხელებისა“ და „კლასიკური ღორის ჭირის“ გავრცელებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფიქსირდება ამ დაავადების გავრცელების ერთეული შემთხვევები. შემოწმების მიზნით გასული წლის სექტემბერში და მიმდინარე წლის მაისში მის მიერ გაგზავნილ იქნა ქ.ქუთაისში არსებულ ზონალურ ლაბორატორიაში დაინფიცირებული ცხოველების პათმასალა. ლაბორატორიული დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ გავრცელებული დაავადება არის „კლასიკური ღორის ჭირი“, რომელიც ნაკლებად საშიშია „აფრიკულ ცხელებასთან“ შედარებით. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსახლეობას პრესის საშუალებით რამოდენიმეჯერ (ჯერ კიდევ 2012 წლის შემოდგომაზე, როდესაც მხოლოდ ღორების დაცემის ერთეული შემთხვევები ფიქსირდებოდა) მიეცა რეკომენდაცია, როგორც რეგიონალური სამმართველოს, ასევე რაიონული თანამშრომლების მიერ ღორების მოვლა-პატრონობისა და შენახვის ვეტერინარულ-სანიტარული წესების დაცვის თაობაზე. კერძოდ, მოსახლეობას განემატრა, რომ არ შეიძლება ღორის თავისუფალი წესით შენახვა, ცხოველი უნდა იმყოფებოდეს ეზოში შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, სუფთა წყლით უზრუნველყოფილი, საღორე და „ქალტა“ სისტემატურად უნდა დასუფთავდეს და ჩაუტარდეს დიზინფექცია სპეციალური საშუალებებით. ღორის ჭირის დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაციას სახელმწიფო პროგრამა არ ითვალისწინებს, მეპატრონეები თავად არიან ვალდებული თავიანთ ცხოველებს თვითონ ჩაუტარონ პროფილაქტიკა. უნდა მოხდეს ცხოველების გაბანება სპეციალური ვეტერინარული საშუალებებით, ცხოველები უნდა აიცრას და დამუშავდეს პარაზიტებზე კერძო ვეტერინარი სპეციალისტების კონტროლის ქვეშ, სიკვდილიანობის დროს მეპატრონე ვალდებულია თვითონ დამარხოს დაცემული ცხოველი თავის ტერიტორიაზე. კატეგორიულად აკრძალულია მკვდარი ცხოველის გადაგდება მდინარეში, ზღვაში, დელეებში, თხრილებში, ნაგავსაყრელებზე. ასეთი შემთხვევის დაფიქსირებისას მეპატრონე კანონის თანახმად ჯარიმდება 100-დან 300 ლარის ოდენობით.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ დაავადების შესაძლო აღმძვრელის გარემოში ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით მიიღო გადაწყვეტილება რეგიონის ტერიტორიაზე სპეციალური ჯგუფის მიერ დაავადების კერებში ჩატარდეს დეზინფექცია. არ ხდება ცხოველთა წინასწარი ვაქცინაცია, არ არსებობს დაავადების შესაბამისი სალიკვიდაციო პროგრამა, არსებულ ვეტერინარულ აფთიაქებში არ არის ვაქცინაციის შენახვის სათანადო პირობები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზვიად აფხაზავამ დააყენა წინადადება, რომ მომზადდეს წერილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე მუნიციპალიტეტში შინაურ ცხოველთა დაავადებების გავრცელებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ და დაისვას საკითხი მუნიციპალიტეტის შესაბამისი ვაქცინაციით უზრუნველყოფის თაობაზე.

საკრებულოს სხდომის გადაწყვეტილებით აღნიშნული წერილის მომზადება დაევალა საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, გია ორაგველიძეს გამგეობის შესაბამის სპეციალისტებთან ერთად.

დეპუტატ დავით წულაძემ მოითხოვა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის რეგიონალური სამსახურის სპეციალისტ, ხათუნა რუსიძისაგან დააგინოს მუნიციპალიტეტში აღნიშნული დაავადების გავრცელების სათავე, რაზეც ხათუნა რუსიძემ განუმარტა, რომ ყოველივე ზემოთაღნიშნულის დადგენა სცილდება მისი კომპეტენციის ფარგლებს. ასევე დავით წულაძემ აღნიშნა, რომ ქვეყანაში სოფლის მეურნეობა წარმოადგენს პრიორიტეტულ დარგს, ლანჩხუთში ყოველთვის იყო განვითარებული მეღორეობა და ათასობით ტონა ხორცი მზადდებოდა. ამჯამად მდგომარეობა საგანგაშოა, ამდენად მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა მეღორეობის დარგის განვითარებისათვის.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე

ამირან გიგინეიშვილი

საკრებულოს აპარატის უფროსი:

ნინო ძიძიგური

თანაშემწე:

დონარა დოლიძე

საკრებულოს საოქმო და საქმისწარმოების

განყოფილების უფროსი :

მაია კეკელიძე